საქართველოს უზენაეს სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას

საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციულ საქმეზე

კასატორი:

საქართველოს მთავრობა
სახელი, გვარი (სახელწოდება)

პირადი (საიდენ.) ნომერი

ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ. N7
იურიდიული მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

2990900
სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

კასატორის წარმომადგენელი:

ზაზა თაქთაქიშვილი
სახელი, გვარი, ადვოკატის ნიშნის ნომერი

01011023568
პირადი ნომერი

ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ. N7
იურიდიული მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

577 25 58 46
ztaktakishvili@geo.gov.ge
სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

მოწინააღმდეგე მხარე:

1. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"
2. დავით სახვაძე
სახელი, გვარი (სახელწოდება)

ს/კ 204952676
პ/ნ 60001004285
პირადი (საიდენ.) ნომერი

1. თბილისის 0179, ფალიაშვილის 27/29, ბინა N13.
2. თბილისი, საიათნოვას ქ. N1
იურიდიული მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი:

ზაზა თაქთაქიშვილი
სახელი, გვარი

სახლის ტელ.

577 25 58 46
მობილური

ztaktakishvili@geo.gov.ge
ელექტრონული ფოსტა

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 27-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge სასამართლო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

გასაჩივრებული გადაწყვეტილება

სასამართლოს დასახელება: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

მომხსენებელი მოსამართლე: ქალბატონი თეა ძიმისტარაშვილი

საქმის ნომერი: 3ბ/1129-14

მიღების თარიღი: 2.03.2015 წელი

გადაწყვეტილებას ვასაჩივრებ:

სრულად ☐

ნაწილობრივ ☒

რომელ ნაწილში?

განჩინება საჩივრდება იმ ნაწილში, რა ნაწილითაც ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის 2013 წლის N1430-ე; N1433-ე; N1435-ე და N1436-ე განკარგულებების ბათილად ცნობის შესახებ.

საკასაციო მოთხოვნა (განაცხადი):

გთხოვთ გააუქმოთ გასაჩივრებული განჩინება - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე და სადავო საქმეზე მიიღოთ ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდება მოსარჩელეების - ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" და დავით სახვაძის მოთხოვნა, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 03 ოქტომბრის N1430-ე, 2013 წლის 4 ოქტომბრის N1433-ე, 2013 წლის 4 ოქტომბრის N1435-ე, 2013 წლის 7 ოქტომბრის N1436-ე განკარგულებების) ბათილად ცნობაზე, უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით.

კასაციის საფუძვლები (მიზეზები)

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:

- ☐ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
- ☐ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მოუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
- ☐ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
- ☐ გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
- ☐ გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
- ☒ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
- ☒ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
- ☐ გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
- ☐ გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
- ☐ საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება: სასამართლოს მიერ დასახელებული სამართლებრივი აქტები და მათ შესაფასებლად გაკეთებული სამართლებრივი დასკვნები ერთმანეთთან სრულ შეუსაბამობაშია. სასამართლომ გადაწყვეტილების (განჩინების) მიღებისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ხოლო გამოყენებული კანონი არასწორად განმარტა, ამასთან გასაჩივრებული გადაწვეტილება არის დაუსაბუთებელი, რაც სსკ-ს 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "გ" ქვეპუნქტების, ასევე 394-ე მუხლის "ე" და "ე1" ქვეპუნქტების მიხედვით წარმოადგენს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს.

დარღვევები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

მიგვაჩნია, რომ უკანონოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2.03.2015წ წლის განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების (სარეზოლუციო ნაწილის მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 ნაწილში) ძალაში დატოვების თაობაზე, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 03 ოქტომბრის N1430-ე, 2013 წლის 4 ოქტომბრის N1433-ე, 2013 წლის 4 ოქტომბრის N1435-ე, 2013 წლის 7 ოქტომბრის N1436-ე განკარგულებების ბათილად ცნობის შესახებ. ამ ნაწილში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უნდა გააუქმოს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით უარი უნდა ეთქვათ მოსარჩელეებს - ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" და დავით სახვაძეს (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 03 ოქტომბრის N1430-ე, 2013 წლის 4 ოქტომბრის N1433-ე, 2013 წლის 4 ოქტომბრის N1435-ე, 2013 წლის 7 ოქტომბრის N1436-ე განკარგულებების ბათილად ცნობაზე) მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობები მდგომარეობს შემდეგში: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის

თანახმად, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო ამავე კოდექსის 182–ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ. ამასთან, ხსენებული კოდექსის მე–2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. გასაჩივრებული განჩინების 4.44 პუნქტის მიხედვით, სააპელაციო პალატა სრულად იზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მთავრობაში მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც ითხოვდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს N03/130 ბრძანების ბათილად ცნობას - წარმოადგენს გარემოსდაცვით საკითხს, რაც იმას ნიშნავს, რომ კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად ნებისმიერ პირს (საქართველოს მოქალაქეს) გააჩნია უფლება გაასაჩივროს შესაბამისი სამინისტროს მიერ საკითხზე მიღებული რომელიმე გადაწყვეტილება.
ამავე განჩინების 4.42. პუნქტში სასამართლო ახდენს საქართველოს კონსტიტუციის 34-ე და "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლების ციტირებას. ხოლო შემდეგ, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას განმარტავს ე.წ "ორჰუსის" 1998 წლის კონვენციაზე დაყრდნობით და ამავე კონვენციაზე მითითებით განგვიმარტავს დაინტერესებული პირის ცნებას. სასამართლოს მტკიცებით, საქართველოს მთავრობის სადავო აქტები ეხება გარემოსდაცვით საკითხებს, რომლის მიმართაც დაინტერესებულ პირად მოაზრებულ უნდა იქნეს დაინტერესებული "საზოგადოება", მათ შორის ფიზიკური ან იურიდიული პირი, შესაბამისად, სასამართლოს მოსაზრებით, მათ შორის მოიაზრებიან მოსარჩელეებიც.

განვმარტავთ, რომ ზემოხსენებული კონვენცია ეხება გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ადგენს, რომ კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფომ, მათ შორის საქართველომ, უნდა უზრუნველყოს საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, თუმცა გადაწყვეტილების მიღების გარკვეულ საფეხურზე, სანამ არჩევანი გაკეთდება (მე-8 მუხლი). ხსენებული კონვენციის მიხედვით, პირს უფლება აქვს გაასაჩივროს მხოლოდ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხები. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამად მოქმედი არც ერთი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი არ ითვალისწინებს, სადავო საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ფართო საზოგადოების მიერ გასაჩივრების წესს, თუმცა, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე თავად „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილია, რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ ფლობდნენ ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, უზრუნველყონ მისი დაცვა და შენარჩუნება, რაც არ შეიძლება განმარტებულ იქნეს იმდაგვარად, რომ ნებისმიერ პირს გააჩნია უფლება გაასაჩივროს სამინისტროს მიერ „კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მატარებელი ობიექტის" მიმართ მიღებულ საკითხზე რომელიმე გადაწყვეტილება. აღნიშნული კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახად "ყოველი მხარე საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში ვალდებულია სასამართლოში ან დამოუკიდებელ და კანონიერად არჩეულ კომპეტენტურ ორგანოში უზრუნველყოს საკითხის გარჩევის შესაძლებლობა იმ პირისათვის, რომელიც თვლის, რომ მისი მოთხოვნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ

მეოთხე მუხლის მიხედვით არ დაკმაყოფილდა. მას უსამართლოდ ეთქვა უარი, ნაწილობრივ ან მთლიანად არასწორი პასუხი გაეცა ან სხვაგვარად დაირღვა ზემოაღნიშნული მუხლის პირობები." აღნიშნული კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს მხოლოდ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხები. გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელეებს არ შექმნიათ წინააღმდეგობა გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღების პროცესში, შესაბამისად, დავის საგანი აღნიშნულს არ ეხება. ამდენად ე. წ. "ორჰუსის" კონვენციაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების დასაბუთება წარმოადგენს შემთხვევას, როდესაც გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ეყრდნობა კანონს, რომელიც მას არ უნდა გამოეყენებინა და არასწორედ განმარტავს კანონს, კერძოდ სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტს. ზემოხსენებული ნორმების განმარტებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის უფლება აქვს იმ პირს, რომლის სუბიექტური უფლებაც დაირღვა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო იმისათვის, რომ განისაზღვროს ადმინისტრაციული საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირი, აუცილებელია, რომ გასაჩივრებული აქტი გავლენას ახდენდეს მის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებზე და ზიანს აყენებდეს უშუალოდ მას. ამასთან, კანონიერი ინტერესისათვის ზიანის მიყენება გულისხმობს, რომ სადავო მოქმედება უნდა იყოს პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანის მომტანი ადმინისტრაციული საჩივრის ავტორებისათვის, კანონიერი უფლება უნდა გამომდინარეობდეს როგორც კონსტიტუციით განსაზღვრული ძირითადი უფლებებიდან, ასევე უშუალოდ მოქმედი სამართლებრივი ნორმებიდან, ანუ სახეზე უნდა გვქონდეს ფაქტი კანონმდებლობის საფუძველზე მხარისათვის მინიჭებული კანონიერი უფლებისათვის ან ინტერესისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების შესახებ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დასაშვებობის წინაპირობას წარმოადგენს დაინტერესებული პირის უფლებისათვის, ინტერესისათვის ზიანის მიყენება ან რაიმე უფლების უკანონო შეზღუდვის ფაქტის არსებობა. მხოლოდ ამ პირობის არსებობის შემთხვევაში შეუძლია დანტერესებულ პირს წარადგინოს საჩივარი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით საჩივრის განმხილველ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში და მოითხოვოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა შეზღუდული ან სადავოდ ქცეული უფლების ან კანონიერი ინტერესის დასაცავად. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვა უკავშირდება მხოლოდ პირის უფლების ან კანონიერი ინტერესის დაცვის რეალურ საჭიროებას. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს არა ნებისმიერი, არამედ იურიდიული დაინტერესება, უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობასთან ერთად პირს უნდა გააჩნდეს იურიდიული, ლეგიტიმური, პატივსადები ინტერესი მის მიერ დაწყებული ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტისადმი, რაც ადმინისტრაციული საჩივრის დასაშვებობის პირობას წარმოადგენს. ინტერესის საკითხის განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ვერ დაეყრდნობა მხოლოდ საჩივრის ავტორის მოსაზრებასა და ვარაუდს. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა ადმინისტრაციულ ორგანოში თავისთავად არ ადასტურებს პირის ინტერესის არსებობას, საჩივარი შეიძლება წარდგენილ იქნეს ადმინისტრაციულ ორგანოში რეალურად დაინტერესებული პირის სახელით. ეს უკანასკნელი გარემოება კი სრულებით გამორიცხავს საქართველოს მთავრობის გასაჩივრებული აქტების ბათილად გამოცხადების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება (განჩინება) სამართლებრივად უსწორო და დაუსაბუთებელია, რის გამოც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ უნდა დაკმაყოფილდეს წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი.

პრეტენზია ფაქტობრივ გარემოებებზე

1. პრეტენზია

დასაბუთება:

2. პრეტენზია

დასაბუთება:

3. პრეტენზია

დასაბუთება:

შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

ვინაიდან, ანალოგიური ტიპის დავებზე არ არსებობს სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული, ერთგვაროვანი პრაქტიკა, სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დაინტერესებული პირის ცნების განსაზღვრის შესახებ, კერძოდ „კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მატარებელი ობიექტის" მიმართ მიღებულ საკითხზე ვინ შეიძლება ჩაითვალოს დაინტერესებული პირებად. ამასთან, აღნიშნულ საქმეზე მიღებული საბოლოო, შემაჯამებელი გადაწყვეტილება არსებითად ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, ადმ. საპ. კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" და "გ" ქვეპუნქტების გათვალისწინებით, გთხოვთ დასაშვებად ცნოთ წინამდებარე საკასაციო საჩივარი.

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

საჩივრის ფასი — არაქონებრივ-სამართლებრივი დავა ლარი

სახელმწიფო ბაჟი — 300 (სამასი) ლარი

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ ☒ არა ☐
რომელი ნორმა? "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "უ" ქვეპუქტის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობა გათავისუფლებულია სახ. ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან.
მტკიცებულება:
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე (მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სსკ-ის 53-ე და 54-ე მუხლების თანახმად, როგორ უნდა განაწილდეს სასამართლო ხარჯები. თქვენი გაანგარიშება სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების შესახებ).
5.

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ ☐ მორიგების პირობები:

არა ☒ რადგან

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ ☐

არა ☐ რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანდართული საბუთების ნუსხა

ფურცლების საერთო რაოდენობა — 9 ფურცლად;

საკასაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ საკასაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მისი მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ საკასაციო საჩივარი.	☐	☐
2.	მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☐	☐
3.	მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☐	☐
4.	მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☐	☐
5.	მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	☐	☐
6.	მითითებულია, თუ გადაწყვეტილება რა ნაწილშია გასაჩივრებული.	☐	☐
7.	მითითებულია საკასაციო მოთხოვნა.	☐	☐
8.	მითითებულია საკასაციო საჩივარზე თანდართული სბუთების ნუსხა.	☐	☐
9.	საკასაციო საჩივარს ერთვის თანდართული სბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი.	☐	☐
10.	საკასაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☐	☐
11.	საკასაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ საკასაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	☐	☐
12.	საკასაციო საჩივარი ხელმოწერილია.	☐	☐
13.	საკასაციო საჩივარი და თანდართული სბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	☐	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

საკასაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია:	საკასაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული:
☐	☐

ატვირთვის ბმული: http://tbappeal.court.ge/sf http://tbappeal.court.ge/sf

საიდენტიფიკაციო ნომერი:

ელ. ფოსტა: *3rd.instance@court.ge* ☐

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მიგვანოდეთ სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ზაზა თაქთაქიშვილი	21/აპრილი/2015 წელი
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.